დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კალანდაძე

წევრები:

თამარ ხუციშვილი- წევრი, ხარისხი

ხატია კაჭარავა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ინგა ხავთასი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
სოფიო მგალობლიშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ჩილინგარაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ნანა ჩავლეიშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო ჯახველაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
ნათია ორმოცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
ალექსანდრე ლაცაბიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
ნინო ჭანტურიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248417681

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი აგარა
საფოსტო ინდექსი	**6200**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**Skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Agaris.skolebi@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**591 71 42 49**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 31 მარტის N MES 5 26 0000382874 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	04-05 მაისი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი**	**ქართული**	ხელვაჩაური, სოფელი აგარა ერთი ორსართულიანი შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო**	**ქართული**	ხელვაჩაური, სოფელი აგარა ერთი ორსართულიანი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მიმდინარე წლის 04-05 მაისს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, და ექთანს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს ჰქონდათ

შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4		
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი და საბაზო საფეხური*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N		
3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებთან*
3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიკაციის მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა, თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, სასწავლო პროცესის განხორციელება შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის მქონე*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		პირების მიერ, ასევე მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი და საბაზო საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*სკოლამ უზრუნველყოს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლას აგრეთვე მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
4.2.1.4	**სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით**	სასურველია, სკოლამ ინფორმაციის გავრცელების პროცეს დაარეგულიროს შიდა პოლიტიკის დოკუმენტით, რომელში განისაზღვრება გავრცელების არხები, პასუხისმგებელი პირები დ ინფორმაციის განახლების სიხშირე. ეს უზრუნველყოფს პროცესი თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას.

	გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით	
4.2.1.2.	**სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ არსებული კარგი პრაქტიკა დააფიქსიროს წერილობით და ჩართოს სასწავლო წლის დასაწყისის სამოქმედო გეგმაში. მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამეორებადობასა და მდგრადობას.
4.2.1.4.	**სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**	სკოლამ შეიმუშაოს რემედიაციის პროგრამის განხორციელების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება რემედიაციის ფარგლებში რა აქტივობებს რა პერიოდში განახორციელებს სკოლა/საგნის მასწავლებელი მოსწავლის აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.
4.2.1.6.	**მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**	სასურველია, სკოლამ უკუკავშირის მიღების პროცესი გახადოს სისტემური ხასიათის. კერძოდ, მიზანშეწონილია, განისაზღვროს კითხვარების გავრცელების პერიოდულობა, სამიზნე ჯგუფები და პასუხისმგებელი პირები. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები დაფიქსირდეს წერილობით, რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობასა და გამჭვირვალობას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების <u>დაწყებითი საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1.	**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**	**რჩევა:** სასურველია, მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს/დაკონკრეტდეს პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულები / პირები (პოზიციები), პროცესში ჩართული მხარეები: სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის სკოლისთვის მისაღები ფორმა, ძირითად პროცესები: ა) სასკოლო კურიკულუმის შემუშავება; ბ) სასკოლო კურიკულუმის დანერგვა; გ) მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.) სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ). **ასევე, სასურველია,** სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო). მაგ: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი პროგრამის განხორციელების ენა: კლასები: შინაარსი/შესავალი; პროგრამის განხორციელების ადგილი: დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:) სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი; გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება) სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედევით: სახელმწიფო ენა (სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ა) სახელმწიფო ენა, მათემატიკა და ასე შ.

		მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები) ესგს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია) საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი). **სასურველია,** სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.1.2.	**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**	**რჩევა:** სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები საფეხურების/კლასების მიხედვით, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთათვის - მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.1.3.	**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	**რჩევა:** კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში.

		(იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N2.1.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**რჩევა**: სასურვლია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u> **(დაწყებითი, საბაზო)** მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრამ როგორც დაწყებით და ისე საბაზო, საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინოს ადგილობრივი კონტექსტი. კერძოდ, დაგეგმოს სასწავლო პროექტები და აქტივობები სოფელში არსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u> **რჩევა:** მოცემული ყველა საგნის კურიკულუმები უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივ სტანდარტებს, მასში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. თემაში უნდა გამოიყოს ერთზე მეტ ძირითადი საკითხი, სასურველია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ძირითადი საკითხი და მისი ქვესაკითხები. (იხ. ინდიკატორის აღწერა) <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> **სასურველია**, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი.

		(იხ. ინდიკატორის აღწერა) **<u>უცხოური ენები</u>** **რჩევა:** თუმცა კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს დაგეგმილი/განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები, ზოგ კლასის ჩარჩოში დავალების პირობები, კონტექსტ-მაგალითები არასწორ სვეტებშია ასახული. **სასურველია,** დავალების პირობები, კონტექსტ-მაგალითები, შედარების მაგალითები გაიმიჯნოს და გაიწეროს შესაბამის სვეტებში (მაგ, რუსული ენა, V, VI კლასები; ინგლისური ენა, I-III კლასები) **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** **რჩევა:** საგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია, გაიწეროს სრულ შესაბამისობაში ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**<u>სახელმწიფო ენა:</u>** **რჩევა:** სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახება ის აქტივობები, რომლემსაც კათედრა ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>მათემატიკა:</u>** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის გამდიდრება ალტერნატიული შემოქმედებითი პროექტებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება და პრაქტიკული რეალიზაცია.

		(იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u> **რჩევა:** სასწავლო პროცესების დაწყებამდე, ფიზიკის საგნის მსგავსად, სასურველია შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, ქიმიის და ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საგანში, რომელიც სასურველია აფასებდეს მოსწავლის ცოდნას ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან (სამზინე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები) მიმართებით, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში, აღწერდეს შედეგების ინდიკატორების საფუძველზე მოსწავლის ცოდნის ფლობის ხარისხს, მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. (იხ. ინდიკატორის აღწერა) <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u> **რჩევა:** საგანში - „ ჩვენი საქართველო“ შემაჯამებელ დავალებების ნიმუშებში ხშირად გამოყენებულია დახურული კითხვები, სასურველია ტესტი ორიენტირებული იყოს ღია კითხვებზე, მხოლოდ კითხვები უნდა ფორმულირდებოდეს მოსწავლეების ასაკთან შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა) <u>ესთეტიკური აღზრდა:</u> **რჩევა:** საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სასურველია დაკორექტირდეს და სრულად გაიწეროს ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში. (იხ. ინდიკატორის აღწერა) <u>სახელმწიფო ენა:</u>

		რჩევა: სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო კურიკულუმი) გეოგრაფიაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში საჭიროა ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>უცხო ენები:</u>** **რჩევა**: თუმცა, წარმოდგენილია საგნების საათობრივი დატვირთვის ცხრილი, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებშიც აისახოს საგნის სემესტრული საათობრივი დატვირთვა, ასევე საათების სავარაუდო რაოდენობა თემების მიხედვით. (რუსული 8/ინგლისური ენები; ორივე საფეხური). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.2.	**სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ დოკუმენტი - შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27 გადაამუშაოს და განუსაზღვროს მკაფიო სტრუქტურა, მოკლე, დასათაურებული ქვეთავებით. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები დეტალურად და თანმიმდევრულად იყოს გაწერილი, განსაზღვრული იყოს პასუხისმგებელი პირები და მათი შერჩევის კრიტერიუმები, ხოლო დოკუმენტს დაერთოს პრაქტიკული

		სამუშაო ფორმა, რომელიც ვერიფიკატორს პროცესის დოკუმენტირებაში დაეხმარება. **ასევე, სასურველია,** სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ინიციატივის მექანიზმის, ადაპტაციის, თუ რემედიაციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა**: მნიშვნელოვანია, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასების პრაქტიკის გააქტიურება, შეიქმნას წინასწარ ურთიერთდასწრების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელშიც გაწერილი იქნება ის კომპონენტები, რომელზეც ურთიერთდასწრების დროს გაამახვილდება ყურადღება, რომელზე დაყრდნობითაც უკუკავშირს მიიღებენ კოლეგები ერთმანეთისგან. ასევე, **სასურველია**, ყველა საგანში შექიმნას, განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გაუზიარდებათ მშობლებს, კათედრას, მოსწავლეებს. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.4.	**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**	**რჩევა:** სასურელია, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი გადაიხედოს და სრულად მოერგოს სკოლის სჭიროებებს. სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს

		ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>** **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.1.1.	**მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**	**რჩევა:** სასურველია, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კვლევის პროცესს, სასურველია, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.3.1.2.	**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**	**რჩევა:** სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ სასურველია, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.1.3.	**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**	**რჩევა:** მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის სასურველია, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითოეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები. სასურველია, ურთიერთდასწრების შემდგომ შეფასება დაფიქსირდეს სტანდარტიზებული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემურობას/მდგრადობას. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.1.	**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**	**რჩევა:** სასურველია, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. ასევე **სასურველია,** სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და შექმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით მიზანშეწონილია,

		მასწავლებლებმა გამოიყენონ შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.2.	**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეფასების არსებული პრაქტიკა დააფიქსიროს და სისტემური გახადოს, რათა წარმატებული გამოცდილება გაზიარდეს პედაგოგებს შორის და გახდეს მდგრადი. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.3.	**შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**	**რჩევა:** სასურველია, შეფასების არსებული ინსტრუმენტები თანდათანობით დაიხვეწოს და გამრავალფეროვნდეს. კერძოდ, მიზანშეწონილია, პროექტული დავალებებისა და პორტფოლიოს პრაქტიკის სისტემური დანერგვა, რაც მოსწავლის განვითარების უფრო სრულ სურათს შექმნის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.4.	**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**	**რჩევა**: სასურველია, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.4.1.1.	**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების <u>საბაზო საფეხურის</u> ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1.	**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**	**რჩევა:** სასურველია, მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს/დაკონკრეტდეს პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულები / პირები (პოზიციები), პროცესში ჩართული მხარეები: სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის სკოლისთვის მისაღები ფორმა, ძირითად პროცესები: ა) სასკოლო კურიკულუმის შემუშავება; ბ) სასკოლო კურიკულუმის დანერგვა; გ) მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.) სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ).

		ასევე, სასურველია, სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო). მაგ: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი პროგრამის განხორციელების ენა: კლასები: შინაარსი/შესავალი; პროგრამის განხორციელების ადგილი: დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:) სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი; გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება) სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედევით: სახელმწიფო ენა (სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ა) სახელმწიფო ენა, მათემატიკა და ასე შ. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები) ესგს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია) საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი). **სასურველია,** სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.1.2.	**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**	**რჩევა:** სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა და

		არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები საფეხურების/კლასების მიხედვით, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთათვის - მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.1.3.	**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	**რჩევა:** კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.1.4.	**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**	**რჩევა**: სასურვლია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>** **ს**აბაზო საფეხური: VII კლასი - ისტორია, კურიკულუმის ვიზუალიზაციისთვის გამოყავით მხოლოდ ის საკითხი, რომელის შესწავლის საფუძველზეც წარმოდგენილი გაქვთ შემოქმედებითი პროდუქტი. შესაბამისად, შემოქმედებითი პროდუქტი დაუკავშირეთ ერთ ან ორ სამიზნე ცნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სამიზნე ცნების დაფარვა მოსწავლეებს გაურთულებს პროდუქტის გააზრებასა და შექმნას. **(საბაზო)** მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ როგორც დაწყებით და ისე საბაზო, საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინოს ადგილობრივი კონტექსტი

		კერძოდ, დაგეგმოს სასწავლო პროექტები და აქტივობები სოფელში არსებულ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	<u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**</u> **რჩევა**: პროექტი სამოქალაქო განათლებაში -(„ბულინგი, არა ძალადობას“ და „მოვიაროთ საქართველო“) მიზანშეწონილია კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა. **ასევე სასურველია**, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიან სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** <u>**უცხოური ენები**</u> **რჩევა:** თუმცა მთლიანობაში კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება შუალედურ მიზნად შერჩეული დავალების იდეა, სასურველია, დავალების პირობა დაზუსტებულად იქნას წარმოდგენილი. (მაგ, 10 კლ, რუსული ენა, “ მოიძიეთ ინფორმაცია კოსმოსზე, ფილმის ჩვენება“ - ვერ იქნება შემოქმედებითი დავალება) **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** <u>**ესთეტიკური აღზრდა:**</u> **რჩევა:** საგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია, გაიწეროს სრულ შესაბამისობაში ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	<u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**</u> რჩევა: საბაზო საფეხური - სასურველია, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	<u>**სახელმწიფო ენა:**</u> **რჩევა:** სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახება ის აქტივობები, რომლემსაც კათედრა ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** <u>**მათემატიკა:**</u> **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის გამდიდრება ალტერნატიული შემოქმედებითი პროექტებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება და პრაქტიკული რეალიზაცია. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო**	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**</u> **რჩევა:** სასწავლო პროცესების დაწყებამდე, ფიზიკის საგნის მსგავსად, სასურველია შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, ქიმიის და ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საგანში, რომელიც სასურველია აფასებდეს მოსწავლის

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ცოდნას ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან (სამზინე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები) მიმართებით, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში, აღწერდეს შედეგების ინდიკატორების საფუძველზე მოსწავლის ცოდნის ფლობის ხარისხს, მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>** **რჩევა:** საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სასურველია დაკორექტირდეს და სრულად გაიწეროს ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>სახელმწიფო ენა:</u>** **რჩევა:** სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო კურიკულუმი) გეოგრაფიაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში საჭიროა ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)** **<u>უცხო ენები:</u>**

		რჩევა: თუმცა, წარმოდგენილია საგნების საათობრივი დატვირთვის ცხრილი, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებშიც აისახოს საგნის სემესტრული საათობრივი დატვირთვა, ასევე საათების სავარაუდო რაოდენობა თემების მიხედვით. (რუსული /ინგლისური ენები; ორივე საფეხური). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.2.	**სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ დოკუმენტი - შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27 გადაამუშაოს და განუსაზღვროს მკაფიო სტრუქტურა, მოკლე, დასათაურებული ქვეთავებით. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები დეტალურად და თანმიმდევრულად იყოს გაწერილი, განსაზღვრული იყოს პასუხისმგებელი პირები და მათი შერჩევის კრიტერიუმები, ხოლო დოკუმენტს დაერთოს პრაქტიკული სამუშაო ფორმა, რომელიც ვერიფიკატორს პროცესის დოკუმენტირებაში დაეხმარება. **ასევე, სასურველია,** სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ინიციატივის მექანიზმის, ადაპტაციის, თუ რემედიაციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** **რჩევა**: მნიშვნელოვანია, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასების პრაქტიკის გააქტიურება, შეიქმნას წინასწარ ურთიერთდასწრების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელშიც გაწერილი იქნება ის კომპონენტები, რომელზეც ურთიერთდასწრების დროს გაამახვილდება ყურადღება, რომელზე დაყრდნობითაც უკუკავშირს მიიღებენ კოლეგები ერთმანეთისგან. ასევე, **სასურველია**, ყველა საგანში შექიმნას, განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გაუზიარდებათ მშობლებს, კათედრას, მოსწავლეებს. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.1.4.	**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**	**რჩევა:** სასურელია, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი გადაიხედოს და სრულად მოერგოს სკოლის სჭიროებებს. სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**<u>უცხოური ენები:</u>** **რჩევა:** თუმცა კათედრას წარმოდგენილი აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია, სასურველია, ზოგ კურიკულუმის ჩარჩოშიც მითითებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები, მაგ: ინგლისური/რუსული VIII, X - IX კლასი. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

		<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u> **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>** **რჩევა:** ლაბორატორიულ სივრცეში მოეწყოს სამუშაო და სადემონსტრაციო მაგიდა ქიმიურად გამძლე, ადვილად გასაწმენდი და წყლისა და ცეცხლის მიმართ მდგრადი ზედაპირით. მიზანშეწონილია წყლის ნიჟარებისა და საროზეტე განათების დამატება, აგრეთვე გამწოვი კარადის დამონტაჟება მავნე ორთქლების გასანეიტრალებლად. უსაფრთხოების მიზნით მნიშვნელოვანია მუდმივი ვენტილაციისა და გამართული ფილტრაციის უზრუნველყოფა.
ინდიკატორი N2.3.1.1.	**მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**	**რჩევა:** სასურველია, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კვლევის პროცესს, სასურველია, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო

		საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები). **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.1.2.	**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**	**რჩევა:** სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ სასურველია, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.1.3.	**მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**	**რჩევა:** მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის სასურველია, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითოეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები. სასურველია, ურთიერთდასწრების შემდგომ შეფასება დაფიქსირდეს სტანდარტიზებული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემურობას/მდგრადობას. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.3.2.1.	**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**	**რჩევა:** სასურველია, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. ასევე **სასურველია,** სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და შექმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით მიზანშეწონილია, მასწავლებლებმა გამოიყენონ შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.2.	**შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეფასების არსებული პრაქტიკა დააფიქსიროს და სისტემური გახადოს, რათა წარმატებული გამოცდილება გაზიარდეს პედაგოგებს შორის და გახდეს მდგრადი. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.3.2.3.	**შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**	**რჩევა:** სასურველია, შეფასების არსებული ინსტრუმენტები თანდათანობით დაიხვეწოს და გამრავალფეროვნდეს. კერძოდ, მიზანშეწონილია, პროექტული დავალებებისა და პორტფოლიოს პრაქტიკის სისტემური დანერგვა, რაც მოსწავლის განვითარების უფრო სრულ სურათს შექმნის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

ინდიკატორი N2.3.2.4.	**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**	**რჩევა**: სასურველია, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N2.4.1.1.	**იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**	**რჩევა:** სასურველია, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც თითოეული ინდიკატორის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და შესაბამისობის გეგმის შეფასების საფუძველზე, მესამე სტანდარტის 3.1.2(3) და 3.1.2(4) ინდიკატორები, რომლებიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ვინაიდან დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრას შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულ, არაუმეტეს 12-თვიან ვადაში.

ამასთან, მესამე სტანდარტის 3.4.1.1, 3.4.1.5, 3.5.1.3 და 3.6.3.5, ასევე მეოთხე სტანდარტის 4.2.4.1 და 4.2.4.2 ინდიკატორებთან მიმართებით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდა გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს მათ ძირითად მიმართულებებს. მისია ორიენტირებულია მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიცემაზე და მოიცავს როგორც აკადემიური ცოდნის მიღებას, ასევე მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნას, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის სრულფასოვანი განვითარებისთვის. სკოლის ხედვა მიმართულია განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვისკენ. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის განვითარებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებას.

სკოლის ღირებულებები მოიცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა უსაფრთხოება, თანამშრომლობა, ობიექტურობა და განვითარებაზე ორიენტირებულობა, რაც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების პრინციპებთან და უზრუნველყოფს მათი პრაქტიკაში განხორციელების საფუძველს.

საბოლოოდ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ქმნის ერთიან ჩარჩოს, რომელიც მიმართულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების რეალიზებისკენ და სკოლის განვითარებაზე. **შესაბამისად, 1.1.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისია ხაზს უსვამს უსაფრთხო, პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნის აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას. აღნიშნული გარემო ქმნის წინაპირობას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარებისათვის.

სკოლის ხედვა ამ მიმართულებას განიხილავს გრძელვადიან პერსპექტივაში და მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას, სადაც სწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღებით, არამედ მოიცავს სოციალური, კულტურული და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას. სკოლა აღიქმება, როგორც გარემო, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამასთან, სკოლის ღირებულებები — უსაფრთხოება, თანამშრომლობა, ობიექტურობა და განვითარებაზე ორიენტირებულობა — პრაქტიკულად ამყარებს აღნიშნულ მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ სკოლა ფუნქციონირებდეს როგორც სოციო-კულტურული სივრცე, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ჩართულია საერთო მიზნების მიღწევაში. ამგვარად, სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხოებას, ისე მოსწავლეთა მრავალმხრივ პიროვნულ განვითარებას და მათი ინტეგრაციას საზოგადოებაში..**შესაბამისად, 1.1.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას სკოლის საჭიროებებთან და ინტერესებთან. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები და, შესაძლებლობის ფარგლებში, მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი მოსაზრებების გათვალისწინებას.მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრა ხორციელდება სამუშაო შეხვედრების, განხილვებისა და უკუკავშირის პროცესის საშუალებით. ამასთან, დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნება საერთო შეთანხმებას.ჩართულობის პროცესი უზრუნველყოფს, რომ ჩამოყალიბებული მისია, ხედვა და ღირებულებები იყოს გაზიარებული და აღიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ხელს უწყობს მათი ეფექტიანად განხორციელებას ყოველდღიურ საქმიანობაში. ამგვარად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახავს სასკოლო საზოგადოების ერთიან ხედვას სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით.**შესაბამისად, 1.1.1 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იქნა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო შეხვედრების, მშობელთა კრებებისა და დირექტორის მიერ განხორციელებული განმარტებითი შეხვედრების ფარგლებში. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას სასკოლო საზოგადოების წევრებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიეღოთ სკოლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. მოსაზრებების სისტემატიზაციის მიზნით განხორციელდა წერილობითი უკუკავშირის შეგროვება, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შეთანხმებული ხედვა სკოლის მისიისა და ღირებულებების შესახებ. აღნიშნული პროცესის საბოლოო შედეგად შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის

პროექტი, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას, ღირებულებებსა და პრიორიტეტებს და წარმოადგენს სკოლის განვითარების საფუძველს.**შესაბამისად, 1.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთანაც წვდომა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.ამასთანავე, აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. **შესაბამისად, 1.1.1 (5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, **1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპებს, პრინციპებსა და პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული, ისე მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია თანამონაწილეობა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის სამუშაო ჯგუფის ფორმატში პროცესის წარმართვით, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით და დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ციკლის დასაწყისში ხდება სასკოლო საზოგადოებისგან ინფორმაციის შეგროვება და მათი მოლოდინების იდენტიფიცირება.

სკოლა იყენებს როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს (გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა), რის საფუძველზეც ხდება არსებული მდგომარეობის ანალიზი (მათ შორის SWOT ანალიზი) და პრიორიტეტების განსაზღვრა. მიღებული შედეგები აისახება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში, რაც უზრუნველყოფს, რომ დაგეგმვა ეფუძნებოდეს რეალურ საჭიროებებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

ასევე, მეთოდოლოგია განსაზღვრავს უკუკავშირის მექანიზმებს, რომლის ფარგლებშიც დოკუმენტების პროექტები განიხილება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე, ხოლო საბოლოო დოკუმენტები ხელმისაწვდომი ხდება სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამგვარად, სკოლაში დანერგილი მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სისტემურად, თანამონაწილეობით და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. **შესაბამისად, 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს შვიდწლიან დოკუმენტს (2025–2032 წლები), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და განსაზღვრავს მის ძირითად განვითარებით მიმართულებებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის ფილოსოფიას და მასზე დაყრდნობით აყალიბებს სტრატეგიულ მიზნებს. დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც დაყოფილია მიზნებად და შესაბამის ამოცანებად. მიზნები დაკავშირებულია სკოლის მისიასთან და ასახავს მის ძირითად პრიორიტეტებს, ხოლო ამოცანები განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს აღნიშნული მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს გარემო ფაქტორების ანალიზს, მათ შორის SWOT ანალიზს, და მოიცავს გეგმის გადახედვის შესაძლებლობას გარკვეული პერიოდულობით. აღნიშნული მიუთითებს, რომ გეგმა განიხილება დინამიკურ დოკუმენტად. ამგვარად, სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, მოიცავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს და გამოიყენება სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისთვის.**შესაბამისად, 1.2.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დოკუმენტი თავდაპირველად სრულად არ ასახავდა სკოლის რეალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას, საჭიროებებსა და არსებულ მდგომარეობას. კერძოდ, გეგმაში წარმოდგენილი იყო ისეთი პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც სკოლაში ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა, მათ შორის დირექტორის მოადგილე და სხვა ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, მაშინ როდესაც სკოლაში ამ ეტაპზე დასაქმებული არიან მხოლოდ დირექტორი, ბუღალტერი, საქმისწარმოებელი და ექთანი. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყო მატერიალური ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული აქტივობები, რაც მოცემული სკოლის შემთხვევაში საჭიროებას არ წარმოადგენდა, ვინაიდან სკოლა ახლად რეაბილიტირებულია და არსებული ინფრასტრუქტურა/მატერიალური რესურსი შეესაბამება სკოლის მიმდინარე საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსითა და პასუხისმგებელი პირების განაწილებით მეტად შეესაბამებოდა სხვა სკოლის მოდელს და საჭიროებდა სკოლის რეალურ კონტექსტზე მორგებას.

ვიზიტის პროცესში სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოადგინა კორექტირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც უკვე შეესაბამებოდა სკოლის რეალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფაქტობრივ ადამიანურ რესურსს, საჭიროებებსა და განხორციელებად აქტივობებს. წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებული იყო პასუხისმგებელი პირები და პასუხისმგებლობების განაწილება, რაც უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას. **შესაბამისად 1.2.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. დაგეგმილი აქტივობები თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიულ მიმართულებებთან და უზრუნველყოფს მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივ და ეფექტიან განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და შესაბამისი მტკიცებულებები/დადასტურების ფორმები, რაც უზრუნველყოფს პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის შესაძლებლობას. შესაბამისად,**1.2.1 (4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დოკუმენტში განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცედურები, რომლის მიხედვით მონიტორინგი ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შეფასებასა და შემდგომი დაგეგმვის პროცესში შედეგების გამოყენებას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **შესაბამისად, 1.2.2 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა აცხადებს მზაობას განახორციელოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება წელიწადში ერთხელ, ივნისის თვეში, რომლის შედეგების საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის კორექტირება. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირიც. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა ასევე გეგმავს არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელებას. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც შესაბამისი პირების ჩართულობით განახორციელებს სამოქმედო გეგმის აქტივობების შეფასებას და თითოეულ აქტივობას მიანიჭებს შესაბამის სტატუსს („შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“). შესაბამისად **1.2.2 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აცხადებს მზაობას აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებგვერდზე, რაც ხელს შეუწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დაგეგმილი მიზნების განხორციელებისა და

შეფასების პროცესის შესახებ, ასევე ხელს უწყობს უკუკავშირის მიღებასა და სკოლის განვითარების პროცესის ეფექტიან მართვას. **შესაბამისად, 1.2.2 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებისათვის შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და მართვის პროცესში. მიღებული შედეგები სისტემურად გაანალიზდება და გამოყენებული იქნება მომდევნო პერიოდის გეგმების დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე სკოლა მოახდენს პრიორიტეტების გადახედვას, საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობასა და შედეგზე ორიენტირებულობას. **შესაბამისად, 1.2.2 (4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში
3. კითხვარები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი);
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭო სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობები: დირექტორი,საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, მასწავლებელი, დარაჯი და დამლაგებელი. აღნიშნული თანამდებობების ფუნქციები განსაზღვრულია თანამშრომელთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილია გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით ფუნქციონირებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, 7 საგნობრივი ჯგუფის კათედრა და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. იგი განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებისა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსის საფუძველზე. სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმებით დასტურდება, რომ კოლეგიური ორგანოები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ სამუშაო გეგმებს და წლის განმავლობაში საქმიანობას წარმართავენ აღნიშნული გეგმების შესაბამისად; საჭიროებისამებრ იკრიბებიან და განიხილავენ როგორც წინასწარ დაგეგმილ, ისე რიგგარეშე საკითხებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **შესაბამისად, 3.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმების შესაბამისად.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და შესაბამის თანამდებობის პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვას. **შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურა;
2. შრომითი ხელშეკრულებები;
3. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმადაც ადამიანური რესურსების მართვის მიზანია პერსონალის მართვის პროცესების ორგანიზება ეფექტიანად, მოქმედ

კანონმდებლობასთან, სკოლის მისიასა და ხედვასთან შესაბამისობაში. ასევე გათვალისწინებულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. სკოლის განმარტებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის", სკოლის შიდა რეგულაციებისა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების განხორციელებას, **შესაბამისად, 3.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** . სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ფუნქციების გადანაწილებას სხვა თანამშრომლებზე. კერძოდ, მასწავლებლის არყოფნისას სასწავლო საათები ნაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება შემცვლელ მასწავლებელთან. სკოლის შინაგანაწესით რეგულირებულია შრომითი ურთიერთობების ძირითადი საკითხები, მათ შორის: სამუშაო დროისა და დასვენების რეჟიმი, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები. წარმოდგენილი ინფორმაციისა და განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს როგორც საჭიროებებზე რეაგირებას (ინტერვენციას), ასევე გარკვეულ პრევენციულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. **შესაბამისად, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში არ არის შექმნილი და წარმოდგენილი საკონკურსო კომისია რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად უნდა დაკომპლექტებულიყო შესაბამისი სპეციალისტებით და ასევე საპრეტენზიო კომისია. წარმოდგენილ კონკურსის ოქმებში ხელმომწერი პირების სტატუსი არ არის იდენტიფიცირებული, რის გამოც ვერ დგინდება მათი

უფლებამოსილება და კუთვნილება შესაბამის კომისიებთან. აღნიშნული გარემოებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პროცესის ობიექტურობის, კანონიერებისა და გამჭვირვალობის დადასტურებას და შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რამდენად სამართლიან და კონკურენტულ პირობებში განხორციელდა კადრების შერჩევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კონკურსის პროცესი არ არის განხორციელებული დადგენილი წესის შესაბამისად და ვერ უზრუნველყოფს მისი კანონიერებისა და გამჭვირვალობის დადასტურებას. **სკოლამ 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 10.09. 2027 წლის სექტემბერი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებთან, კერძოდ:

- დადგენილი წესის შესაბამისად შექმნას და სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს საკონკურსო და საპრეტენზიო კომისია;
- უზრუნველყოს კომისიების კანონმდებლობით განსაზღვრული შემადგენლობით დაკომპლექტება;
- კონკურსის პროცესში შედგენილ ყველა დოკუმენტში მკაფიოდ ასახოს კომისიის წევრთა სტატუსი, უფლებამოსილება და მონაწილეობა;
- კონკურსის პროცედურები წარმართოს გამჭვირვალობის, ობიექტურობის, თანასწორობისა და კონკურენტულობის პრინციპების დაცვით, რათა შესაძლებელი იყოს პერსონალის შერჩევის პროცესის კანონიერებისა და სანდოობის დადასტურება.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არ არის შემუშავებული დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის გამოც ვერ ხერხდება იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება დასაქმებული პერსონალი თავად სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ხოლო რაც შეეხება მასწავლებლებს, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სულ დასაქმებულია 15 მასწავლებელი (1 — წამყვანი, 12 — უფროსი და 2 — მოწვეული მასწავლებელი). დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და eSchool-ის ბაზის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულ პირთა უმრავლესობა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა გამოვლინდა რიგი შეუსაბამობები. კერძოდ, მუსიკის მოწვეული მასწავლებელი,

რომელსაც აქვს მუსიკალური განათლება, დამატებით შეთავსებული აქვს სპორტის სწავლება შესაბამისი საგნობრივი კვალიფიკაციის გარეშე, ხოლო მისი საერთო დატვირთვა შეადგენს 17 საათს, რაც აღემატება მოწვეული მასწავლებლისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საათობრივ მოცულობას. ასევე, რუსული ენის უფროსი მასწავლებელი ახორციელებს საგნების — „მე და საზოგადოება“ და ქართული ენის — სწავლებას შესაბამისი საგნობრივი კვალიფიკაციის გარეშე. ბუნებისმეტყველების უფროსი მასწავლებელი ასწავლის ფიზიკასა და ქიმიას შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციის გარეშე, ამავე დროს ახორციელებს ჭადრაკის სწავლებას შესაბამისი გადამზადების გარეშე. გარდა ამისა, ქიმიის სწავლება შეთავსებული აქვს ბიოლოგიის უფროს მასწავლებელს, რომელსაც აღნიშნულ საგანში დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია არ გააჩნია. შესაბამისად დგინდება , რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **სკოლამ 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 10.09. 2027 წლის სექტემბერი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიკაციის სრულ შესაბამისობაში მოყვანა მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:**

- **შეიმუშაოს და დაამტკიცოს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პოზიციისთვის აუცილებელ განათლებას, გამოცდილებასა და კომპეტენციებს;**
- **სასწავლო პროცესი წარმართოს მხოლოდ იმ პირთა მიერ, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი საგნის სწავლებისთვის კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ფლობენ შესაბამის საგნობრივ კომპეტენციას;**
- **უზრუნველყოს თითოეული მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მათ შორის მოწვეული მასწავლებლებისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვის ფარგლებში.**

4. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას წარმართავენ გუნდური მუშაობის პრინციპით. ისინი იკრიბებიან სხდომებზე და გადაწყვეტილებებს იღებენ ოქმების სახით დაფიქსირებით. საგნობრივი კათედრების საქმიანობის ანალიზით დგინდება, რომ მათი წევრები ჩართულნი არიან კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და ერთობლივად გეგმავენ საგანმანათლებლო აქტივობებსა და პროექტებს თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებსა და მრჩეველთა საბჭოს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომელთა

შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას და განიხილავენ როგორც დაგეგმილ, ისე საჭიროებისამებრ სხვა საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულნი არიან როგორც პედაგოგები, ასევე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შესაბამისი საფეხურის მოსწავლეები ერთიანდებიან და მონაწილეობით იღებენ გადაწყვეტილებებს და აქტივობების დაგეგმვის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. **შესაბამისად, 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და გარკვეულწილად მისი აღიარება. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების დებულებით განსაზღვრულია პედაგოგთა შორის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმები. კერძოდ, პედაგოგები ურთიერთობენ როგორც სკოლის შიგნით, ასევე თანამშრომლობენ სხვა სკოლების წარმომადგენლებთან, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას, გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს ,ასევე მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შემუშავებაში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული საქმიანობისა და მიღწევების აღიარების მიზნით. აღნიშნული ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, ასევე დისციპლინარული სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა. წახალისება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესიული საქმიანობის მაღალი ხარისხით შესრულების, ასევე განსაკუთრებული მიღწევების, ინიციატივების და ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკა, თუმცა მისი გამოყენება მეტწილად დამოკიდებულია შიდა ინიციატივებზე და ნაკლებად არის ფორმალიზებული ერთიანი სისტემის სახით. **შესაბამისად, 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. შრომითი ხელშეკრულებები;
3. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, გამოკითხვების ჩატარება, ინდივიდუალური გასაუბრებები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული პრაქტიკა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პროფესიული განვითარების საჭიროებები, რომელთა შესაბამისადაც იგეგმება განმავითარებელი აქტივობები. სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის კონსულტაციები, სადისკუსიო შეხვედრები, კოლეგიური ურთიერთდასწრება და პროფესიული გამოცდილების გაზიარება. საგნობრივი კათედრების ფარგლებში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და უზრუნველყოფენ უკუკავშირის მიწოდებას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. ასევე, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ხდება საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების გაზიარება.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. **შესაბამისად, 3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარე რესურსების გამოყენებით. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ და შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც საჭიროებების კვლევის შედეგებიდან, ასევე თავად თანამშრომელთა ინიციატივებიდან. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ასახოს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშემწყობი ამოცანებისა და აქტივობების კავშირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვის ძირითადი მექანიზმები. **შესაბამისად, 3.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმებს, რაც მიზნად ისახავს შერჩეული პირის პროფესიული შესაძლებლობების სრულად გამოვლენასა და სამუშაო გარემოსთან ეფექტიან ინტეგრაციას. დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის საგნობრივ კათედრაზე, ხოლო სხვა პერსონალის — შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ახალ თანამშრომელს აცნობენ სკოლის მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის ფუნქციებს, ასევე სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და მიდგომებს.საქმისმწარმოებლისა და კათედრის თავმჯდომარის ჩართულობით ხდება ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია შიდა საკომუნიკაციო სივრცეში (მათ შორის, დახურულ სოციალურ ჯგუფებში). ასევე, ახალ თანამშრომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფარგლებში ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში არსებობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართვას სამუშაო პროცესში. **შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. აღნიშნული ინიციატივები შესაძლოა გამოვლინდეს როგორც პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად, ასევე თავად თანამშრომელთა მხრიდან, მათ შორის ზეპირი ფორმით.პერსონალის განვითარების ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მექანიზმებად განსაზღვრულია სხვადასხვა ფორმა, მათ შორის: სიგელით დაჯილდოება, ფულადი წახალისება და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.სკოლის მიერ დანერგილი წახალისების სისტემა ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას, ინიციატივების გამოვლენასა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებას.სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ გრძნობენ ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერას პროფესიული განვითარების პროცესში.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის განვითარების ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა.**შესაბამისად, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასა და შეფასებასთან დაკავშირებულ ძირითად აქტივობებს.დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესები კლასიფიცირებულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ მართვას.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს ისეთ ქვეპროცესებს, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელება, დასკვნების ფორმირება და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება.წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმები, თუმცა მათი პრაქტიკაში განხორციელების სისტემურობა საჭიროებს შემდგომ განვითარებას. **შესაბამისად, 3.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნული პროცესები და შემუშავებული რეგულაციები მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ასპექტებს. **შესაბამისად, 3.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლებამოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, **3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;

4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, წლის განმავლობაში იმართება დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრებების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს Facebook-ის პლატფორმას ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც დამატებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. **შესაბამისად, 3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენელი. საბჭო მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო

სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალების, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა. პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია საგნისა და სპეციალური მასწავლებლებით და იღებს გადაწყვეტილებებს სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. საგნობრივი კათედრები აერთიანებს შესაბამისი საგნების მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო მასალის შერჩევაში, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და განიხილავენ შეფასების შედეგებს. დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის თანაბარი წარმომადგენლობით და უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, მონაწილეობს სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს კლუბების ფუნქციონირებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში. **შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქუტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილი ორგანოსადმი მიმართვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის მიზნით, ასევე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

ამასთან, დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, რის გამოც ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის სრულ კონტროლს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები სრულად არ არის დაკმაყოფილებული. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, ასევე დამატებითი მტკიცებულებები სკოლის ტერიტორიის სრული პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით დაფარვის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ გამოვლენილი შეუსაბამობები აღმოფხვრილია, რის გამოც 3.4.1(1) ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით და უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების დროულ აღმოჩენას. სამედიცინო მომსახურება ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის (ექთნის) მიერ, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო რეაგირებას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს სკოლის შენობაში გადაუდებელი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს და განსაზღვრავს შესაბამის ქმედებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობასა და ეფექტიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია წარმოებულია, გამოყენებული ფორმები სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართებით განსაზღვრულ ფორმებს. დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. შესაბამისად, **3.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია 2 დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი.**შესაბამისად 3.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას.წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა/პროექტი, რომლებიც მიმართულია ძალადობის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლებისკენ.ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობას. **შესაბამისად, 3.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 2 დამლაგებელი.რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების სისუფთავესა და მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძების დასუფთავებისთვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია შესაბამისი სივრცე. საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნით განსაზღვრულ, უსაფრთხო და ჩაკეტილ სათავსოში. სველი წერტილები ფუნქციონირებს და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის: საპნით, ქაღალდით, ხელსახოცებითა და ნარჩენების კალათებით. თუმცა ვინაიდან სკოლაში არ არსებობს ცენტრალური წყალ-მომარაგების სისტემა და სკოლა სარგებლობს წყაროს წყლით, აუცილებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') გათვალისწინებით , სასმელად გამოყენებული წყალი იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასმელად ვარგისიანობაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარმოადგინა. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადგინა სასმელად გამოყენებული წყლის ხარისხის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომლითაც დადასტურდა წყლის სასმელად ვარგისიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ გამოვლენილი შეუსაბამობა აღმოფხვრილია, რის გამოც 3.4.1.5 ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისი სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სავალდებულოა შესასრულებლად. **შესაბამისად, 3.4.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის

ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე. **შესაბამისად 3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემას, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესის, უსაფრთხოების მექანიზმებისა და სასკოლო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შეფასების შედეგებს. საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მიმართულია არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირების მხარდაჭერისკენ. **შესაბამისად 3.4.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
2. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სრულად რეაბილიტირებულ ორსართულიან შენობაში, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა სარგებლობს სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებით (საკადასტრო კოდი: 22.22.01.030), რომლის მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 4005.00 კვ.მ., ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენს 1198.27 კვ.მ.-ს, რომელიც ინფრასტრუქტურულად შეესაბამება მოქმედი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს საკლასო ოთახებს, ადმინისტრაციულ კაბინეტებს (დირექტორის, მოადგილის, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის), სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, კვების ბლოკს (სასკოლო ბუფეტს), სამედიცინო კაბინეტს, რესურსოთახს, ასევე სველ წერტილებსა და დამხმარე დანიშნულების სივრცეებს. წარმოდგენილი ინფორმაციისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ თითოეული სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ფუნქციურად გამართულია და გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, **შესაბამისად, 3.5.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ისეთი სივრცეები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი რესურს ოთახი და სამასწავლებლო, რომლებიც გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა და დასვენების შესაძლებლობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.**შესაბამისად, 3.5.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, თუმცა დოკუმენტის შესწავლისა და ადგილზე განხორციელებული ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ იგი სრულად ვერ ასახავს სკოლის რეალურ ორგანიზაციულ მოწყობას. კერძოდ, სკოლას, როგორც მცირეკონტიგენტიან დაწესებულებას, არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი წესი ითვალისწინებს ბიბლიოთეკარის არსებობასა და მის ფუნქციებს საბიბლიოთეკო პროცესების უზრუნველყოფის ნაწილში. აღნიშნული მიუთითებს, რომ ბიბლიოთეკის ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტი არ არის შესაბამისობაში სკოლის ფაქტობრივ მდგომარეობასთან. შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ვინაიდან მოქმედი დოკუმენტი არ შეესაბამება სკოლის რეალურ ორგანიზაციულ მოწყობასა და ადამიანურ რესურსს. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთ მასწავლებელს დაევალა ბიბლიოთეკარის ფუნქციების შეთავსება, ასევე შესაბამისობაში მოიყვანა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი სკოლის ფაქტობრივ ორგანიზაციულ მოწყობასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ გამოვლენილი შეუსაბამობა აღმოფხვრილია, რის გამოც 3.5.1(3) ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სრულად რეაბილიტირებულ და სსსმ მოსწავლეებისათვის სრულად ადაპტირებულ შენობაში. კერძოდ, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო ყველა ძირითადი საგანმანათლებლო სივრცე, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი, ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და სსსმ მოსწავლეთათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. . **შესაბამისად, 3.5.1(4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი ეზო, სადაც იმართება აქტივობები. სკოლა ღინისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სპორტულ დარბაზს და მუსიკის კაბინეტს. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ რეკრეაციულ სივრცეში დაისვენონ. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული პერსონალისთვის. საერთო სარგებლობის სამუშაო სივრცედ ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. სკოლის მიერ

წარმოდგენილი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული ტექნიკური რესურსი საკმარისია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისთვის, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა ფუნქციონირებს გამართულად. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ისტ ლაბორატორიის გამოყენების პირობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებები (ტექსტის შექმნა და რედაქტირება, საჭირო მასალების მოძიება და გადმოწერა, ელექტრონული რესურსების გამოყენება) და შეზღუდვები (ფაილების წაშლის აკრძალვა, ტექნიკის არასასწავლო დანიშნულებით გამოყენების შეზღუდვა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი მიზნობრივი გამოყენება. **შესაბამისად, 3.6.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2. ვიზუალური დათვალიერება;

3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. **3.6.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვაამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **შესაბამისად 3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. **შესაბამისად 3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს **შესაბამისად.3.6.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;
2) სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
3) Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი skolebi.emis.ge პლატფორმაზე, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. აღნიშნული ვებგვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ასრულებს საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, სადაც ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური გვერდი და უზრუნველყოფილია უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.ასევე, სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის.**შესაბამისად, 3.6.3.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული მიზნით გამოიყენება როგორც ოფიციალური ვებგვერდი, ასევე სოციალური ქსელები.სკოლის სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ, არის სანდო და შეესაბამება რეალურ საქმიანობას, ვინაიდან იგი ვრცელდება სკოლის ოფიციალური არხების მეშვეობით.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. **შესაბამისად, 3.6.3.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**
   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **ინდიკატორი 3.6.3.3. ვერ იქნება შეფასებული;**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სრულყოფილი ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.ვინაიდან სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შესაბამის ენაზე.**შესაბამისად, 3.6.3.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე გრაფიკული სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა.ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, თუმცა ვებგვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია მოსწავლეთა უფლებების, ინტერესების დაცვისა და გადაწყვეტილებების/ქმედებების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რის გამოც დაინტერესებული პირებისთვის სათანადოდ ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე არ არის მოსწავლის უფლებრივი დაცვისა და საჩივრის განხილვის პროცედურები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ვებგვერდი სრულად არ შეიცავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას და ვერ უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში უზრუნველყო ვებგვერდზე მოსწავლეთა უფლებების, ინტერესების დაცვისა და გადაწყვეტილებების/ქმედებების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის განთავსება. წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ გამოვლენილი შეუსაბამობა აღმოფხვრილია, რის გამოც 3.6.3.5 ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;

2) სკოლის ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას გამოუყოფს ფინანსურ რესურსებს, მათ შორის მასწავლებელთა დანამატების სახით.წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ფინანსური რესურსების განკარგვა ხორციელდება მიზნობრივად და მიმართულია სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სასწავლო პროცესის მხარდაჭერასა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.**შესაბამისად, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობასა და მონაწილეობითობას. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მზადდება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის ასახული წლის განმავლობაში მიღებული და გახარჯული ფინანსური რესურსები.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმების ფუნქციონირება.**შესაბამისად, 3.7.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
2) სკოლის დირექტორის ბრძანება - სკოლის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი -ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში მოქმედი შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტიან განხორციელებას. სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N1, 18.09.2025) დეტალურად განსაზღვრავს: მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებს; უფლებების დარღვევის შემთხვევაში რეაგირების წესსა და პროცედურებს. სკოლაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს: მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა ინფორმირებას უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; პრევენციულ და განმავითარებელ ღონისძიებებს. სკოლაში შექმნილია ასევე დისციპლინური კომიტეტი და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა უფლებების დაცვის ინსტიტუციურ გარანტიებს. მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ტარდება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. საჩივრის წარდგენა შესაძლებელია სკოლის ადმინისტრაციასთან, დირექციასთან ან შესაბამის უფლებამოსილ პირთან, რის საფუძველზეც ხორციელდება სათანადო რეაგირება. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი; (მოსწავლის ადაპტაციის წესი (15.09.2025 წლის ბრძ. N23/2); სკოლის ხარისხის უზრუწველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (12.09.2025 წლის ბრძ. N023-01;) მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი (12.09.2025 წლის ბრძ. N023/01(ა); მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი (ბრძანება N023/08, 01.10.2025), რომელიც დეტალურად არეგულირებს უფლებათა დაცვის პროცედურებსა და გარანტიებს.

ინდიკატორი 4.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: რჩევა: სასურველია, სკოლამ განაახლოს შინაგანაწესი და მოარგოს იგი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. რეგულაციები განიხილება სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და მშობელთა შეხვედრებზე; მასწავლებლები და მშობლები რეგულაციების გაცნობას ადასტურებენ ხელმოწერით. სკოლის ადმინისტრაცია რეგულაციების გასაჯაროებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას, მათ შორის სოციალურ გვერდს — Facebook გვერდი, ასევე საინფორმაციო დაფებს და სხვა საშუალებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში ძირითადად უზრუნველყოფილია რეგულაციების გამჭვირვალობა და ინფორმაციის გაზიარება, თუმცა საჭიროებს ვებგვერდზე მოსწავლეთა უფლებრივი დაცვისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად განთავსებას.

ინდიკატორი 4.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სკოლასა და მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი მშობელთა კრებაზე დეტალურად ეცნობა შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს მოსწავლეებისა და სკოლის კანონიერ უფლება მოვალეობებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის გაწერილი უფლება მოვალეობები, გათვალისწინებულია მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფმა სკოლაში ვიზიტის დროს დაათვალიერა მშობელთა ხელშეკრულებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა ხელშეკრულება ხელმოწერილია დირექტორის და მშობლის მიერ.

ინდიკატორი 4.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება N31 (სახელმძღვანელოების გადაცემის წესი)
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი (15.09.2025 წლის ბრძ. N23/2);

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (12.09.2025 წლის ბრძ. N023-01;)
- მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი (12.09.2025 წლის ბრძ. N023/01(ა);
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი ბრძ.N023/08, 01.10.2025),
- სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით N1, 18.09.2025)
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1, 05.09.2025წ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 10/09/2025წ
- სკოლის ვებ-გვერდი და ფეისბუქ სოციალური გვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ და 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალს; ჩარიცხვის ეტაპებსა და პროცედურულ ვადებს; კლასიდან კლასში გადაყვანის სამართლებრივ საფუძვლებს; მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს; მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროცესების სამართლებრივ სისწორეს, გამჭვირვალობასა და ადმინისტრაციულ გამართულობას.

ინდიკატორი 4.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება დადგენილი წესის სრული დაცვით. თითოეული პროცესი ეფუძნება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობით განცხადებასა და დირექტორის შესაბამის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას). ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები დოკუმენტირებულია, დაცულია კანონით განსაზღვრული ვადები და პროცედურული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს: გადაწყვეტილებების სანდოობასა და სამართლებრივ ძალას; მოსწავლისა და მშობლლის ინფორმირებულობას; პროცესის გამჭვირვალობასა და თანასწორობის პრინციპის დაცვას. აღნიშნული კი დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით.

ინდიკატორი 4.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, საგანმანათლებლო პროგრამების, მათი სპეციფიკის, აგრეთვე მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის სიახლეები და სკოლის შინაგანაწესი.

ინდიკატორი 4.1.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, საინფორმაციო დაფაზე და სხვა არხებით (ვებგვერდი, სოციალური ქსელი) გაზიარდეს სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი და სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს წლიური აქტივობების გეგმა და საჯაროდ გაზიაროს, რაც სასკოლო საზოგადოებას წინასწარ მისცემს ორიენტირს მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და მოლოდინების შესახებ.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის განახლებული, ობიექტური და

არადისკრიმინაციული. ინფორმაცია ვრცელდება: სკოლის სოციალური ქსელის გვერდის მეშვეობით; კლასის დამრიგებელთა სამუშაო ჯგუფებში; საგნობრივი კათედრებისა და კათედრის ხელმძღვანელთა საკომუნიკაციო არხებით. ასევე, აქტივობებისა და ღონისძიებების სოციალურ ქსელში განთავსებამდე სკოლის ადმინისტრაცია მშობლისგან იღებს თანხმობას. ინფორმაციის სანდოობასა და შინაარსობრივ სისწორეზე პასუხისმგებელია სკოლა. გავრცელებული მასალა უზრუნველყოფს თანასწორ ხელმისაწვდომობას და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ინფორმაციის გავრცელების პროცესი დაარეგულიროს შიდა პოლიტიკის დოკუმენტით, რომელშიც განისაზღვრება გავრცელების არხები, პასუხისმგებელი პირები და ინფორმაციის განახლების სიხშირე. ეს უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებ-გვერდი და ფეისბუქ სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი (15.09.2025 წლის ბრძ. N23/2); რომელიც უზრუნველყოფს ახალჩარიცხული მოსწავლეების სისტემურ მხარდაჭერას სასკოლო სივრცეში. ახალი მოსწავლის მიღებისას ადაპტაციის პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც: ეცნობა მოსწავლის პირად საქმესა და აკადემიურ ისტორიას; ხვდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, ინტერესებისა და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ; აცნობს საგნის მასწავლებლებს მოსწავლის საჭიროებებს; კლასის წინაშე წარადგენს მოსწავლეს პოზიტიური და მოტივაციური ფორმით. ადაპტაციის პროცესში ჩართული არიან თანაკლასელებიც - ისინი აცნობენ ახალ მოსწავლეს სასკოლო სივრცეს, წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს არაფორმალურ გარემოში ინტეგრაციას და თანატოლთა მხარდაჭერას. სკოლის თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის შეფასების მიდგომა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სკოლა აცნობიერებს, რომ აღნიშნულ სფეროებში არსებული სირთულეები პირდაპირ გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე, ემოციურ მდგომარეობასა და სოციალური ურთიერთობების ხარისხზე, შესაბამისად ადაპტაციის მექანიზმი ორიენტირებულია კომპლექსურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმა, მშობლემა და მოსწავლეებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი 4.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა გასაუბრების დროს აღნიშნავს, რომ ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე. პირველკლასელთათვის ტარდება გაცნობითი ღონისძიება, სადაც მოსწავლეები ეცნობიან სკოლის გარემოს, პედაგოგებსა და შინაგანაწესს. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო გეგმის, საკლუბო აქტივობებისა და სასკოლო პროექტების შესახებ და უჭერენ მხარს მათ ინიციატივებს. სკოლაში მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია თავისუფალი სივრცეები იდეების განხილვისა და

განხორციელებისთვის. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს აღნიშნული პრაქტიკის სისტემურ და მდგრად ხასიათს.

ინდიკატორი 4.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ არსებული კარგი პრაქტიკა დააფიქსიროს წერილობით და ჩართოს სასწავლო წლის დასაწყისის სამოქმედო გეგმაში. მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტული ღონისძიებები, მათი განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამეორებადობასა და მდგრადობას.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სისტემურ მხარდაჭერას. საგნის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები: აწვდიან მოსწავლეებს რეგულარულ და ინდივიდუალურ უკუკავშირს; განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს; საჭიროების შემთხვევაში გეგმავენ დამატებით კონსულტაციებს. დაწყებით საფეხურზე სწავლაში სირთულის მქონე მოსწავლეებთან ტარდება დამატებითიცგაკვეთილები. მშობლებთან იმართება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლის პროგრესის განსახილველად.წარმატებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით, რომლებიც საჯაროდ განთავსებულია სკოლის ფოიეში, რაც ზრდის მოტივაციას და ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 4.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შექმნას მოსწავლისა და მშობლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმი. მიზანშეწონილია, განისაზღვროს აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმირების კონკრეტული ფორმები და პერიოდულობა, აგრეთვე დამატებითი კონსულტაციებისა და მეცადინეობების მიწოდების პროცედურები. ამასთან, სასურველია, რემედიაციის პრაქტიკა გავრცელდეს საბაზო საფეხურზეც და არ შემოიფარგლოს მხოლოდ დაწყებითი საფეხურით.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია: სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების შესახებ; შესაბამისი ვადებისა და პროცედურების შესახებ; დარღვეული უფლების გასაჩივრების წესისა და მექანიზმების შესახებ; გაცდენების შედეგებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ.

ასევე, მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებზე, მათ შორის

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში ჩართულობის შესახებ. სკოლის თანამშრომლები უზრუნველყოფენ კონსულტაციას და მხარდაჭერას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს რემედიაციის პროგრამის განხორციელების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება რემედიაციის ფარგლებში რა აქტივობებს რა პერიოდში განახორციელებს სკოლა/საგნის მასწავლებელი მოსწავლის აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კვალიფიციური პერსონალის მეშვეობით ხელს უწყობს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების განვითარებას. საბაზო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების დაგეგმვაში და ხშირად თავად სთავაზობენ ინოვაციურ მიდგომებს პედაგოგებს. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი პროექტები, გამოფენები, პლაკატები და კედლის გაზეთები. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს აღნიშნული პრაქტიკის სისტემურ და მდგრად ხასიათს.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის დებულება, თუმცა დოკუმენტი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული არ არის და სრულად არ ასახავს მხარდაჭერის კონკრეტულ ფორმებსა და მექანიზმებს.

ინდიკატორი 4.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის დებულება დაამტკიცოს დირექტორის ბრძანებით და დეტალურად გაწეროს მოსწავლეთა ხელშეწყობის კონკრეტული ფორმები - მათ შორის, როგორ და რა პროცედურით ხდება ინოვაციური იდეების მხარდაჭერა და განხორციელება.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სხვადასხვა კითხვარის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის ჯგუფებში, აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი მატერიალური მტკიცებულებები (შევსებული კითხვარები და გაანალიზებული შედეგები) და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია.

თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებები და გასაუბრების შედეგები მიუთითებს, რომ აღნიშნული პრაქტიკა ფრაგმენტული ხასიათისაა და არ წარმოადგენს სისტემურ, ციკლურ და მდგრად პროცესს.

ინდიკატორი 4.2.1.6. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უკუკავშირის მიღების პროცესი გახადოს სისტემური ხასიათის. კერძოდ, მიზანშეწონილია, განისაზღვროს კითხვარების გავრცელების პერიოდულობა, სამიზნე ჯგუფები და პასუხისმგებელი პირები. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული უკუკავშირის ანალიზი და მასზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები დაფიქსირდეს წერილობით, რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობასა და გამჭვირვალობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება;
- თვითმართველობის შეხვედრა-ოქმი N1 13/10/2025წ
- სკოლის სოციალური გვერდი;
- კლუბის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა საბაზო საფეხურზე კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს. გასაუბრებისას სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგები მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიის შესახებ ესაუბრებიან. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამედიცინო აკადემიასთან, თუმცა მის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ვერ წარმოადგინა. საერთო ჯამში, პროფესიული ორიენტაციის პრაქტიკა ფრაგმენტული ხასიათისაა და არ წარმოადგენს სისტემურ და მდგრად პროცესს. **ინდიკატორი 4.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია, პროფესიული ორიენტაციის საკითხები ინტეგრირდეს კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმებში და დაიგეგმოს კონკრეტული აქტივობები - მაგალითად, პროფესიების გაცნობის შეხვედრები, ექსკურსიები ან სპეციალისტებთან საუბრები.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება. სკოლას აქვს მზაობა და სურვილი აღნიშნული მიმართულებით გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, დაგეგმოს აქტივობები, რათა პროცესი გახადოს სისტემური და მდგრადი.

ინდიკატორი 4.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა კარიერული დაგეგმვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ითვალისწინებს როგორც წინარე გამოცდილებას, ისე გაწეული საქმიანობის შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში დანერგილია შემდეგი მიდგომები: სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულების მოწვევა და მათი გამოცდილების გაზიარება მოსწავლეებთან; პროფესიის რეალური სირთულეებისა და მოთხოვნების განხილვა; მოსწავლეთა ინტერესებისა და მოლოდინების ანალიზი. სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილია ანონიმური გამოკითხვის ჩატარება მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, რომლის მიზანია: პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის შეფასება; არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება; მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა ხარისხის მართვის პროცესს ეფუძნება მონაცემებზე და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე. თუმცა, აღნიშნული მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა სკოლამ.

ინდიკატორი 4.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბათუმის სამედიცინო აკადემიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, მაგრამ ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და შესაბამისად, არც სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი.

ინდიკატორი 4.2.3.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
- ყოფილი სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგანმანათლებლო-შემოქმედებითი მიმართულების ცეკვის წრე. დოკუმენტაციისა და სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობაში გადაცემის პროცედურა და მოპოვებული ჰქონდა შესაბამისი თანხმობები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან.

ამასთან, დირექტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა გეგმავდა „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების შესაბამისად ელექტრონული აუქციონის გამოცხადებას, მშობლების მომართვებისა და მოთხოვნის საფუძველზე ცეკვის წრემ ფუნქციონირება აუქციონის ჩატარებამდე დაიწყო. შედეგად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობაში გადაცემა განხორციელდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დარღვევით, ვინაიდან ფართი სარგებლობაში გაიცა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების გარეშე.

დირექტორთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობაში გადაცემისთვის საჭირო პროცედურები და მიღებული ჰქონდა შესაბამისი თანხმობები უფლებამოსილი უწყებებისგან. დირექტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით ელექტრონული აუქციონის გამოცხადება და პროცედურების დასრულება, ცეკვის წრემ საქმიანობა უფრო ადრე დაიწყო, რადგან აღნიშნულის თაობაზე არსებობდა მშობლების არაერთი თხოვნა და მოთხოვნა. დირექტორის განცხადებით, მშობლები დაინტერესებული იყვნენ მოსწავლეებისათვის ცეკვის წრის დროულად ხელმისაწვდომობით, რის გამოც წრის საქმიანობა დაიწყო შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულებამდე.

ხარვეზი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობაში გადაცემა განხორციელდა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულების გარეშე, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული აუქციონის ჩატარებამდე.

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ელექტრონული აუქციონის ჩატარებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართის სარგებლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში.

მართალია, ცეკვის წრის ფუნქციონირება თავდაპირველად დაიწყო შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დასრულებამდე, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა. შესაბამისად, 4.2.4.1 ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება “, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგანმანათლებლო-შემოქმედებითი მიმართულების ცეკვის წრე, თუმცა აღნიშნული მომსახურების განხორციელება სრულად არ არის რეგულირებული შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული დოკუმენტაციით. კერძოდ, საქმიანობის განმახორციელებელ პირთან სკოლას არ აქვს გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება/სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო სკოლამ ვერ წარმოადგინა მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესისა და პირობების სრულყოფილად მარეგულირებელი დოკუმენტაცია. შედეგად, სათანადოდ არ არის განსაზღვრული მომსახურების განხორციელების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რაც ვერ უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ნებაყოფლობითობის პრინციპით, შეთანხმებული წესისა და პირობების შესაბამისად განხორციელებასა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. **არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული განახლებული დოკუმენტაცია, მათ შორის საქმიანობის განმახორციელებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება და მომსახურების გაწევის წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების პირობები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ასევე მომსახურების ნებაყოფლობითობის პრინციპი სათანადოდ არის რეგულირებული და შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.**

შესაბამისად, 4.2.4.2 ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლის მოსწავლეებისათვის დამატებითი მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომით. დამატებითი მომსახურების ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ორგანიზებულია შესაბამისი უსაფრთხოების ნორმებისა და პირობების დაცვით, ხოლო აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია.**ინდიკატორი 4.2.4.3. არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის წერილი;
2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობის წერილი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☑ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☑ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 ივნისის N3/4 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის საფუძვლები და პრინციპები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, მიზნებისა და შედეგების განსაზღვრა და მმართველობითი სტრუქტურები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს შაბლონს და არ ასახავს სკოლის კლიმატს. ცალკეულ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსწავლესთან და მშობელთან კომუნიკაციის შესაძლო ფორმები, რაც ქმნის საფუძველს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სკოლის სასკოლო საზოგადოების ხედვები და პრაქტიკული გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: მეთოდოლოგიის დოკუმენტში განისაზღვროს/დაკონკრეტდეს პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები (პოზიციები), პროცესში ჩართული მხარეები: სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის სკოლისთვის მისაღები ფორმა, ძირითადი პროცესები: ა) სასკოლო კურიკულუმის შემუშავება; ბ) სასკოლო კურიკულუმის დანერგვა; გ) მონიტორინგი და შეფასება; დ) გადასინჯვა და რევიზია.) სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა პროცედურულად განისაზღვროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად აღწეროს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის პროცედურული ნაწილი (მათ შორის გაჩნდეს ჩანაწერი კურიკულუმის მხარდამჭერი საჭიროებათა პაკეტის შემუშავების შესახებ).

ასევე, სასურველია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო). **მაგ: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**

სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი პროგრამის განხორციელების ენა: კლასები: შინაარსი/შესავალი; პროგრამის განხორციელების ადგილი: დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:) სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი; გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება)

სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით: სახელმწიფო ენა (სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ა) სახელმწიფო ენა, მათემატიკა და ასე შ.
მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები)
ესგს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია)
საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი
დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი).

სასურველია, სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას კურიკულუმის მიმდინარეობის შესახებ და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესახებ ინფორმაციის მოგროვება ხდება ზეპირი კომუნიკაციის გზით.

ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები საფეხურების/კლასების მიხედვით, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთათვის - მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია დირექტორის მონაწილეობით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, ასევე შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან,

რაც მიუთითებს პროცესში სხვადასხვა სტრუქტურის ჩართულობაზე. კურიკულუმის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივი კათედრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სწავლა-სწავლების დაგეგმვაზე, კურიკულუმის დანერგვასა და შეფასებაზე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა სისტემური ჩართულობის (მაგ., კითხვარების, ფოკუსჯგუფების ან სხვა ინსტრუმენტების) ფორმალიზებული მექანიზმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე გზით მიმდინარეობს. აქ მოიაზრება პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, მშობელთა კრებები, საჭირო დოკუმენტების საიფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელის გამოყენება, კლასების ე.წ. „ჩათებსა“ და „მესენჯერ“ ჯგუფებში კომუნიკაცია. მასწავლებელთა ნაწილის განცხადებით, საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარება მშობლებთან ხდება კრებებზე ზეპირსიტყვიერად; წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება კურიკულუმის გაზიარების პროცესის სისტემური დოკუმენტირება (მაგ., შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.).

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სხვა დოკუმენტები. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ვებგ-ვერდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელში არსებული სკოლის ფეისბუქ გვერდი.

ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურვლია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (07.06.2025წ ბრძანება N3/4);
- 2025-2026წ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ (N1 10/09/2025წ);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების შესახებ (08/09/2025წ N1/1

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი შინაარსი (დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, აქტივობები) ასახავს სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ: ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: საბაზო საფეხური: VII კლასი - ისტორია, კურიკულუმის ვიზუალიზაციისთვის გამოყავით მხოლოდ ის საკითხი, რომელის შესწავლის საფუძველზეც წარმოდგენილი გაქვთ შემოქმედებითი პროდუქტი. შესაბამისად, შემოქმედებითი პროდუქტი დაუკავშირეთ ერთ ან ორ სამიზნე ცნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სამიზნე ცნების დაფარვა მოსწავლეებს გაურთულებს პროდუქტის გააზრებასა და შექმნას. **(დაწყებითი, საბაზო)** მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ როგორც დაწყებით და ისე საბაზო, საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინოს ადგილობრივი კონტექსტი. კერძოდ, დაგეგმოს სასწავლო პროექტები და აქტივობები სოფელში არსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოები გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროექტული შინაარსის დავალებების საშუალებით, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათდრაზე შემუშავებული დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება ესგ-ს. შემუშავებული კურიკულუმი უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შემოქმედებითობას და ცოდნის სამივე დონის მიღწევას.

	ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	ორივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის შესახებ, ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს მასწავლებლებმა, ხაზი გაუსვეს იმას, თუ როგორ ახერხებდნენ კონკრეტული სამიზნე ცნებების გააქტიურება ამა თუ იმ დავალებითა და აქტივობით. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის ორივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა. კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები. ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობა თუ პროექტი, რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. იგი აგებულია იმგვარად, რომ მთავარი

	ფოკუსი გადატანილია მოსწავლის საჭიროებაზე, შესაძლებლობასა და ინტერესებზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და ინკლუზიურ სწავლას. • გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ზრდის ჩართულობასა და მოტივაციას. • გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადება და განვითარების ტემპი. დაწყებით და საბაზო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა, ორგანიზებასა, თვითკონტროლსა .და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების კურიკულუმის II - VI კლასის ჩარჩო - ცხრილები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული

	კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნებში, I-II- IV-VI კლასის კურიკულუმში წარმოდგენილ შინაარსში არ ჩანდა მკაფიო კორელაცია სამიზნე ცნებას, თემასა და საკითხებს შორის, ვინაიდან არ იყო სწორად მოცემული სავალდებულო თემების ჩამონათვალი, რიგ შემთხვევაში არასწორად იყო მოცემული სამიზნე ცნებებიც, მიუხედავად ამისა, სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ დამატებით მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა კურიკულუმები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ექსპერტის რჩევები, ამგვარად წარმოდგენილი კურიკულუმები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება) მიემართება ეროვნული სასწავლო მიზნით განსაზღვრულ შედეგებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** მოცემული კურიკულუმები უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივ სტანდარტებს, მასში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. თემაში უნდა გამოიყოს

	ერთზე მეტი ძირითადი საკითხი, სასურველია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ძირითადი საკითხი და მისი ქვესაკითხები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: პროექტი სამოქალაქო განათლებაში -(„ბულინგი, არა ძალადობას“ და „მოვიაროთ საქართველო“) მიზანშეწონილია კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა. **ასევე სასურველია**, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად . დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეების/ძირითადი

	საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** თუმცა მთლიანობაში კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება შუალედურ მიზნად შერჩეული დავალების იდეა, **სასურველია,** დავალების პირობა დაზუსტებულად იქნას წარმოდგენილი. (მაგ, 10 კლ, რუსული ენა, " მოიძიეთ ინფორმაცია კოსმოსზე, ფილმის ჩვენება" - ვერ იქნება შემოქმედებითი დავალება) თუმცა კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს დაგეგმილი/განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები, ზოგ კლასის ჩარჩოში დავალების პირობები, კონტექსტ-მაგალითები არასწორ სვეტებშია ასახული. **სასურველია,** დავალების პირობები, კონტექსტ-მაგალითები, შედარების მაგალითები გაიმიჯნოს და გაიწეროს შესაბამის სვეტებში (მაგ, რუსული ენა, V, VI კლასები; ინგლისური ენა, I-III კლასები)
ესთეტიკური აღზრდა	საგან მუსიკაში ყველა კლასის კურიკულუმი გაწერილია ესგ მიზნებზე დაფუძნებით და სრულად შეესაბამება მის მოთხოვნებს. სახვით და გამოყენებით ხელოვნების კურიკულუმი არასრულადაა შევსებული. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** საგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი სასურველია, გაიწეროს სრულ შესაბამისობაში ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს,

	ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტებიც, მაგალითად, განუხორიელებიათ პროექტი "წიგნი "მომავლის ხედვა". მსგავსი აქტივობები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეებს მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და განუვითარდეთ მრავალმხრივი უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ-თი განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე. წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას; რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სწრაფი გადაწყვეტილება, ემპათია, გუნდურობა,

	პატივისცემა, ჰოლისტური განვითარება, ღირებულებების განვითარება, აქტიური და ჯანმრთელი მოქალაქის ჩამოყალიბებას. და განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება ესგ-ს ყელა შედეგი და სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი), ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა. კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში, სკოლაში არსებული, კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები (სახელმძღვანელოები, მულაჟები, ფიზიკისა და ქიმიის ინვენტარები და სხვა.) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების

	მიღწევას, სკოლას არ აქვს ლაბორატორია, მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად. დაწყებით და საბაზო საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით და საბაზო საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტომასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ასევე, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება რესურსების გამრავლაფეროვნება. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** საბაზო საფეხური - სასურველია, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს შესაძლებლობა და მზაობა სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისად უზრუნველყოს მათ მიერ გაწერილ კურიკულუმში მოაზრებული შედეგების მიღწევა. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმის ჩარჩოებში, ისევე

	როგორც განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, ასახულია სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რესურსი: გრიფირებული სახელმძღვანელოები, აუდიო-ვიდეო მასალა, თემატურად შრჩეული დამატებითი რესურსი, ტექნოლოგიური მოწყობილობები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას კათედრა ხშირად იყენებს ონლაინ-რესურსებსაც, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და ხელი შეუწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები, რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე. გასაუბრებისას დადგინდა, რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები

	მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია, სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის განვითარებას, რაც ავითარებს ძირითადი ფიზიკურ უნარებისა და მოტორულ შესაძლებლობას, ამყარებს გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, თვითდისციპლინასა და მიზანდასახულობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში, კურიკულუმით განსაზღვრული, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და

	საჭიროებებს, ამას ადასტურებს მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებებიც, სადიაგნოსტიკო ტესტირებებიც, რითაც იკვლევენ მოსწავლეთა დამატებით საჭიროებებს. სკოლას არ ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე მოსწავლეები, თუმცა აქვთ მზაობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში შექმნან ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სწავლის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინონ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით მოსწავლეთა შესაძლებლობები, აქვთ ამისთვის მატერიალური თუ არამატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საშუალება, ამგვარად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის ჩარჩოები, გაკვეთილის გეგმები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები) ირკვევა, სწავლა-სწავლების პროცესი არის ინკლუზიური. უცხოური ენის სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. უცხოური ენების მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის

	სტილს, მზაობას, ინტერესს, შესაბამისად ახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება მოცემულ საკითხზე ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში დანერგილია ინკლუზიური მიდგომები, რომელთა მიზანია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მაგრამ ჰყოლიათ და მსგავსი ტიპის გამოცდილება აქვთ. ასევე, დოკუმენტურად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებასაც, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია თუ საგნობრივ კურიკულუმებშიც აისახება ის აქტივობები, რომლემსაც კათედრა ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების თვალსაზრისით.
მათემატიკა	კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ სწავლებას ორივე საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული

	მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას. თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გათვალისწინებას. მათემატიკის კურიკულუმი, ორივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის გამდიდრება ალტერნატიული შემოქმედებითი პროექტებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება და პრაქტიკული რეალიზაცია.
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, კერძოდ : • საგანმანათლებლო მიზნები. • სასწავლო აქტივობები. • შეფასების სისტემა. • ინკლუზიური მიდგომა. • პრაქტიკული მიმართულება. აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში .იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავე, სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური/დიფერენცირებული

	სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესს და აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრაზე, ძირითადად ფიზიკის საგანში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მისი კომპონენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ბუნებისმეტყველების საგნებში, თითოეულ შემოქმედებით დავალებას თან ახლავს შეფასების რუბრიკები, ამგვარად მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და პრინციპებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასწავლო პროცესების დაწყებამდე, ფიზიკის საგნის მსგავსად, სასურველია შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები, ქიმიის და ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების საგანში, რომელიც სასურველია აფასებდეს მოსწავლის ცოდნას ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან (სამზინე

	ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები) მიმართებით, თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში, აღწერდეს შედეგების ინდიკატორების საფუძველზე მოსწავლის ცოდნის ფლობის ხარისხს, მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება აჩვენებს თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მათ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ასევე წარმოდგენილია დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები, რომელიც ავლენს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად წარმოჩენას და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, მიემართება ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** საგანში - „ ჩვენი საქართველო“ შემაჯამებელ დავალებების ნიმუშებში ხშირად გამოყენებულია დახურული კითხვები, სასურველია ტესტი ორიენტირებული იყოს ღია კითხვებზე, მხოლოდ კითხვები უნდა ფორმულირდებოდეს მოსწავლეების ასაკთან შესაბამისად.
უცხოური ენები	დაწყებით და საბაზო საფეხურზე უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები. ასევე, კათედრას

	წარმოდგენილი აქვს განხორციელებული დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები. ნათლად ჩანს, უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და განმავითარებელი შეფასების ნიმუშებიდან ჩანს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სასურველია დაკორექტირდეს და სრულად გაიწეროს ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში.
სახელმწიფო ენა	ორივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, მაგრამ ისინი ძირითადად აგებული იყო ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებდა არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი ტიპის აქტივობებს, მიწოდებული რჩევების საფუძველზე, ვიზიტის დროს სკოლამ მოამზადა განახლებული დოკუმენტაცია, ახლიდან წარმოდგენილი რუბრიკები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების მიხედვით, კრიტერიუმები შემუშავებულია სასწავლო შედეგების გათვალისწინებით და მორგებულია კონკრეტულ თემასა და აქტივობებზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში.
მათემატიკა	სკოლის მიერ ორივე საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა მოგვიანებით, შეესაბამება მათემატიკის ორივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ფიზიკ. აღზრდასა და სპორტის სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები და აქტივობები სრულად შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნებს და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას კერძოდ: • სწავლების მეთოდები; • აქტივობები; • ინკლუზიური მიდგომა; • უსაფრთხოების ნორმები; • მოტივაციის ამაღლება; • შეფასება და უკუკავშირი; სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც ყურადღება გამახვილებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი ასევე აქტიურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. პედაგოგები ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ფიზიკის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები, მატრიცები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- დიაგნოსტიკური წერების ამსახველი მასალა (ინგლისური ენა, VI, IX კლასი, ტესტის ნიმუშები, ანალიზი;)
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი ფოტომასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში
- კათედრების სხდომის ოქმები;
- ღონისძიებების, პრეზენტაციების. ინვენტარის ამსახველი ფოტოები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

- კლუბის გეგმა სახელმწიფო ენაში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნემისმეტყველო საგნებში, საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესები დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, მათ წარმოადგინეს სრული სახით გაწერილი და დამუშავებული კურიკულუმები და ასევე განაცხადეს, რომ შემდგომშიც კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებებს განახორციელებენ სასწავლო კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო კურიკულუმი) გეოგრაფიაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში საჭიროა ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ.
უცხოური ენები	სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: თუმცა, წარმოდგენილია საგნების საათობრივი დატვირთვის ცხრილი, სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებშიც აისახოს საგნის სემესტრული საათობრივი დატვირთვა, ასევე

	საათების სავარაუდო რაოდენობა თემების მიხედვით. (რუსული 8/ინგლისური ენები; ორივე საფეხური).
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი წარიმართა წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების, რესურსების, შემოქმედებითი ტიპის დავალებების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ორივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესი ისეა აგებული, რომ ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, რასაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრება ამა თუ იმ შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	ორივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებით შესაბამისია. შერჩეულია შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები, თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. დაგეგმვა ეფუძნება განსაზღვრულ მიზნებს, სტანდარტებსა და შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობასა და ეფექტიანობას. კერძოდ:

	• სასწავლო მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. • გამოყენებული აქტივობები და მეთოდები შერჩეულია კურიკულუმის მიზნებითან შესაბამისობაში. • შეფასების სისტემა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს. • დაცულია თანმიმდევრობა და ლოგიკური განვითარება კლასიდან კლასამდე. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი. აქცენტი კეთდება სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები. სასწავლო პროექტები - ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. ყველა კლასში ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი დავალებები. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებისას ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სასწავლო აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის კოორდინაციას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27, რომელიც იძლევა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის სკოლას ასევე შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტი. (მოსწავლის ადაპტაციის წესი (15.09.2025 წლის ბრძ. N23/2); სკოლის ხარისხის უზრუწველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (12.09.2025 წლის ბრძ. N023-01;) მოსწავლის რემედიაციის წესი (01.10.2025 წლის ბრძ. N23/001;) მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი (12.09.2025 წლის ბრძ. N023/01(ა); მაგრამ სკოლამ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა.

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაგეგმილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ დოკუმენტი - შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27 გადაამუშაოს და მას განუსაზღვროს მკაფიო სტრუქტურა, მოკლე, დასათაურებული ქვეთავებით. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები დეტალურად და თანმიმდევრულად იყოს გაწერილი, განსაზღვრული იყოს პასუხისმგებელი პირები და მათი შერჩევის კრიტერიუმები, ხოლო დოკუმენტს დაერთოს პრაქტიკული სამუშაო ფორმა, რომელიც ვერიფიკატორს პროცესის დოკუმენტირებაში დაეხმარება.

ასევე, სასურველია, სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ინიციატივის მექანიზმის, ადაპტაციის, თუ რემედიაციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე მოსწავლეთა შეფასების გაზიარების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების აქტიური პრაქტიკა ვერ გამოიკვეთა (ხელმისაწვდომი არ არის შესაბამისი დოკუმენტაცია), სკოლას გააჩნია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დასაზუსტებელია მათი ქმედითობა სასწავლო პროცესში, ამგვარად შეფასების სისტემა მეტ-ნაკლებად არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: მნიშვნელოვანია, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასების პრაქტიკის გაატიურება, შეიქმნას წინასწარ ურთიერთდასწრების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელშიც გაწერილი იქნება ის კომპონენტები, რომელზეც ურთიერთდასწრების დროს გაამახვილდება ყურადღება, რომელზე დაყრდნობითაც უკუკავშირს მიიღებენ კოლეგები ერთმანეთისგან. ასევე, სასურველია ყველა საგანში შექიმნას, განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გაუზიარდებათ მშობლებს, კათედრას, მოსწავლეებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს,

	ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების სისტემები არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხებისათვის . შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უცხოური ენების მიერ განხორციელებული შეფასებები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უმეტესწილად შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, ორივე საფეხურზე სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფი იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკა, რომლებშიც გაწერილი კრიტერიუმები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს იმის რესურსი, რომ მოამზადოს და პრაქტიკაში გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა ვიზიტის დროს მოამზადეს და სანიმუშოდ

	წარმოგვიდგინეს სწორედ ისეთი რუბრიკები, რომელთა კრიტერიუმებიც გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარეობს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა სკოლაში სრულად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, დონეებსა და მოლოდინებს. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული ყველა მოსწავლისთვის, ამცირებს სუბიექტური მიდგომის რისკებს და ზრდის ნდობას როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობა ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთეს აკადემიურ ორიენტაციას და საკუთარი პროგრესის გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სწორად და სრულყოფილად შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით

	შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში, 2025 წლის 7 ივნისს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27, რომელიც სრულად არ ასახავს სკოლის სპეციფიკას და საჭიროებს დამატებით კონკრეტიკას. (ორი საფეხური; მცირეკონტიგენტიანი და სხვ.) აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფას, აგრეთვე მიღებული შედეგების ანალიზს სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ვინაიდან აღნიშნული მექანიზმი სკოლის პრაქტიკაში ახლახან დაინერგა, ამ ეტაპზე დოკუმენტურად ვერ დასტურდება გასული წლების შესაბამისი გამოცდილება. თუმცა, სკოლის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ამ მიმართულების სისტემურ გაძლიერებას. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს გადავიდეს შეფასების ჰოლისტურ მიდგომაზე, რაც გულისხმობს მოსწავლის მიღწევების კომპლექსურ და მრავალმხრივ გაანალიზებას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტ მორგება/ადაპტირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
რჩევა: სასურელია, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი გადაიხედოს და სრულად მოერგოს სკოლის სჭიროებებს.

სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი).

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების ამსახველი ინფორმაცია ინახება როგორც მატერიალური სახით (მოსწავლეთა პირადი საქმეები), ასევე ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი), რაც უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობასა და მოძიების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (ორივე საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი ბრძ. №01-03/27
- მოსწავლის ადაპტაციის წესი 15.09.2025 წლის ბრძ. N23/2;
- სკოლის ხარისხის უზრუწველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი 12.09.2025 წლის ბრძ. N023-01;
- მოსწავლის რემედიაციის წესი 01.10.2025 წლის ბრძ. N23/001;
- მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი 12.09.2025 წლის ბრძ. N023/01(ა)
- დიაგნოსტიკური წერების ამსახველი მასალა (ინგლისური ენა, VI, IX კლასი, ტესტის ნიმუშები, ანალიზი;)
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი ფოტომასალა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	ორივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, უცხოური ენების მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: თუმცა კათედრას წარმოდგენილი აქვს დამხმარე სასწავლო რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია, სასურველია, ზოგ კურიკულუმის ჩარჩოშიც მითითებული იქნას დამხმარე სასწავლო რესურსები, მაგ: ინგლისური/რუსული VIII, X - IX კლასი.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ძირითად რესურსს გრიფირებული სახელძღვანელოები და სამუშაო რვეულები წარმოადგენს. იყენებენ დამხმარე ვიდეო-აუდიო მასალას, თვალსაჩინოებებს და ტექნოლოგიებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ორივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას. პედაგოგები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად აკეთებენ რესურსების ადაპტაციასაც. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს ,ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე. დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის. ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება. სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	დაწყებით და საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტი კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი

	ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების ბანკი - ელექტრონული რესურსი school.emis.ge, scratch.mit.edu, code.org ასევე სხვა ვიდეო რესურსი, რომელიც შეესაბამება შესასწავლ საკითხის, მიზანს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განხილულ და შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი N1-ელი ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ ორივე საფეხურზე შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსები ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფილია მათი ვალიდურობა. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, ყველა დამხმარე რესურსი შეესაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს, მასწავლებლების მიერ კათედრაზეა შეთანხმებული და ესგ-ს მიემართება. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესის საინტერესოდ, ხარისხიანად, ეფექტიანად, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც ასახულია კიდეც საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებშიც. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ნიშნავს ,რომ გამოყენებული მასალები წინასწარ არის შერჩეული, შემოწმებული და შესაბამისობაშია როგორც სასკოლო კურიკულუმებთან, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მათზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს კონკრეტული მიზნის შესაბამის დამხმარე რესურსს. კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი

	გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არსებობს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნებში შედარებით მარტივი კვლევითი სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო ინვენტარი და მატერიალური რესურსები (მულაჟები, ექსპერიმენტული ინვენტარი). გამოყოფილი სივრცე, სადაც თავმოყრილია აღნიშნული რესურსები, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** ლაბორატორიულ სივრცეში მოეწყოს სამუშაო და სადემონსტრაციო მაგიდა ქიმიურად გამძლე, ადვილად გასაწმენდი და წყლისა და ცეცხლის მიმართ მდგრადი ზედაპირით. მიზანშეწონილია წყლის ნიჟარებისა და საროზეტე განათების დამატება, აგრეთვე გამწოვი

	კარადის დამონტაჟება მავნე ორთქლების გასანეიტრალებლად. უსაფრთხოების მიზნით მნიშვნელოვანია მუდმივი ვენტილაციისა და გამართული ფილტრაციის უზრუნველყოფა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	დაწყებით და საბაზო საფეხურზე შესაძლებელია იმ მატერიალური რესურსების გამოყენება, რომელიც განსაზღვრულია კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს შესაბამისი მატერიალური/არამატერიალური რესურსით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ორივე საფეხურზე შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური რესურსების (გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური პოსტერები, ყველა

	კლასისთვის განკუთვნილი საკლასო სივრცეები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და ა.შ.), ისე კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეული ელექტრონული რესურსებით, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ რესურსებს მასწავლებლები არჩევენ შესასწავლი თემიდან გამომდინარე და ერთობლივად განიხილავენ მათ შესაბამისობას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	ორივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და სრულად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობა. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით, რაც იძლევა შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს აქტიურად და უსაფრთხოდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ასევე სკოლა აქტიურად მიმართავს პროექტულ სწავლებას. ბავშვები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსები, პრეზენტაციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 15 მასწავლებელი (1 - წამყვანი, 12 - უფროსი; 2 - მოწვეული (მათემატიკის მასწავლებელი - 9 სთ და მუსიკის მასწავლებელი - 13 სთ, რომელიც ასევე ასწავლის სპორტს - 4 სთ. ჯამში - 17 სთ).

დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და eSchool-ის ბაზის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირთა უმრავლესობა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა გამოიკვეთა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

კერძოდ, მუსიკის მოწვეული მასწავლებელი, რომელსაც აქვს მუსიკალური განათლება, დამატებით ასწავლის სპორტს შესაბამისი საგნობრივი კვალიფიკაციის გარეშე, ხოლო მისი ჯამური დატვირთვა შეადგენს 17 საათს, რაც აღემატება მოწვეული მასწავლებლისთვის განსაზღვრულ საათობრივ მოცულობას. რუსული ენის უფროსი მასწავლებელი ასწავლის საგნებს „მე და საზოგადოება“ და ქართულ ენას შესაბამისი საგნობრივი კვალიფიკაციის გარეშე. ბუნებისმეტყველების უფროსი მასწავლებელი ახორციელებს ფიზიკისა და ქიმიის სწავლებას შესაბამისი საგნობრივი კვალიფიკაციის გარეშე და ასევე ასწავლის ჭადრაკს შესაბამისი გადამზადების გარეშე. გარდა ამისა, ქიმიის სწავლება ხორციელდება ბიოლოგიის უფროსი მასწავლებლის მიერ, რომელსაც აღნიშნულ საგანში დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია არ გააჩნია. სკოლამ **2.2.2.4** ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია

უზრუნველყოს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (ორივე საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- განხორციელებული პროექტები და ფოტო მასალა;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და დამრიგებლის ანგარიშის დოკუმენტაცია, მიუხედავად მათი აღწერითი და ფრაგმენტული ხასიათისა, იძლევა სასკოლო კულტურის ზოგად სურათს. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებისა და მათი ინდივიდუალური მხარდაჭერისათვის პედაგოგები იყენებენ შემაჯამებელ დავალებებს. აღნიშნული დავალებების ფორმატსა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებზე შეთანხმება ხდება კათედრის სხდომების ფარგლებში. პედაგოგიურ კოლექტივთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკა უფრო სისტემურად დაიგეგმოს და სრულფასოვნად ინტეგრირდეს კურიკულუმის განვითარების პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კვლევის პროცესს, სასურველია, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები).

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვისთვის, თუმცა აღნიშნულს არ აქვს ერთიანი, მდგრადი და სისტემური სახე. კათედრების ფარგლებში განხილული შედეგები ქმნის საფუძველს სწავლა-სწავლების პროცესის ადაპტაციისთვის.ამასთანავე, კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკა ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება (მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლებს შორის), თუმცა არ არის დანერგილი და ფორმალიზებული ერთიანი შიდა მექანიზმი (დოკუმენტი, ინსტრუმენტი), რაც უზრუნველყოფდა სისტემურ დაკვირვებასა და შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ სასურველია, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (12.09.2025 წლის ბრძ.N023/01), და ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძ. №01-03/27). გარდა ამისა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრული შეხვედრები და იმის განხილვა თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გააუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის ჟურნალები და დამრიგებლის ჟურნალის ჩანაწერები; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექტორმა აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, ტრენინგებით და სხვა მათთვის საჭირო კომპონენტებით.

ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის სასურველია, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითოეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები. სასურველია, ურთიერთდასწრების შემდგომ შეფასება დაფიქსირდეს სტანდარტიზებული ფორმით, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემურობას/მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (12.09.2025 წლის ბრძ.N023/01)
- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძ. №01-03/27
- საგნობრივი კურიკულუმები (ორივე საფეხური)
- რემედიაციის წესი (01.10.2025 წლის ბრძ. N23/001;)
- დამრიგებლების ანგარიში
- საგნობრივი კათედრების ოქმები
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და წინსვლის შეფასება ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას გულისხმობს. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომპონენტების საშუალებით. მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას აკადემიური შედეგების შესახებ, თუმცა მოსწავლეთა ჩართულობის, თანამშრომლობისა და შემოქმედებითი აქტივობის შეფასება ჯერ კიდევ საჭიროებს სისტემურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი.

ასევე სასურველია, სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და შექმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით მიზანშეწონილია, მასწავლებლებმა გამოიყენონ შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. სასწავლო წლის განმავლობაში გამოიყენება შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალმხრივ დანახვას. ამავე მიზანს ემსახურება შეფასების რუბრიკების გამოყენება სხვადასხვა სახის დავალებებისთვის.

მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და სოციალურ-ემოციურ მდგომარეობას შეფასების პროცესში, რაც მიუთითებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის არსებობაზე.

ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეფასების არსებული პრაქტიკა დააფიქსიროს და სისტემური გახადოს, რათა წარმატებული გამოცდილება გაზიარდეს პედაგოგებს შორის და გახდეს მდგრადი.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. მასწავლებლები მიმართავენ დაკვირვებას, ზეპირ გამოკითხვასა და ტესტირებას, ასევე გამოიყენება შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ შეფასება მოარგონ მოსწავლის საჭიროებებს და დონეს.

ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, შეფასების არსებული ინსტრუმენტები თანდათანობით დაიხვეწოს და გამრავალფეროვნდეს. კერძოდ, მიზანშეწონილია, პროექტული დავალებებისა და პორტფოლიოს პრაქტიკის სისტემური დანერგვა, რაც მოსწავლის განვითარების უფრო სრულ სურათს შექმნის.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრესი, ჩართულობა და მიღწევები. ასევე გამოიყენება რემედიაციისა და ინდივიდუალური მიდგომების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნაკლებად ასახავს შეფასების მონაცემების სისტემურ ანალიზსა და მათ გამოყენებას კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- საგნობრივი კურიკულუმები (ორივე საფეხური)
- დამრიგებლების ანგარიში
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N1
- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძ. №01-03/27
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგია ახალი დამტკიცებულია (ზოგადი ხასიათისაა და არ ასახავს სკოლის საჭიროებებს) და შესაბამისად, რევიზიის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას აქვს შესაბამისი მზაობა, რადგან სკოლაში კურიკულუმის განვითარების საჭიროებები ძირითადად განისაზღვრება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიღებული გამოცდილებისა და საგნობრივი კათედრების ფარგლებში ჩატარებული განხილვების საფუძველზე. კათედრების შეხვედრებზე იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეები და განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესის

გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება კურიკულუმის განვითარების საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტის სისტემური, ფორმალიზებული სახით არსებობა.

ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარება და მისი ცალკეული ელემენტების გადახედვა ხორციელდება წინარე გამოცდილების, სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული დაკვირვებებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო აქტივობების, დავალებებისა და მიდგომების მოდიფიცირება, რაც მიუთითებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში მისი ადაპტაციის პრაქტიკაზე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად იკვეთება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის სისტემური შექმნისა და დოკუმენტირების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების სტრუქტურირებულ ანალიზს.

ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (ორივე საფეხური)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 29.06.202

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: